



MES 1 21 0000542093



09/06/2021

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის  
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს  
სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის 28 მაისს**.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/89286088052?pwd=a1NPYmIyUk9uMGUyUUUy4eDloZU9TUT09>

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:**

**მარიამ ქუჩულორია** - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);

**მარიკა ზაქარეიშვილი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის-„კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი, (საბჭოს მდივანი);

**გიორგი გამყრელიძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

**თორნიკე ჯობავა** - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

**გიორგი ვეკუა** - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

**ქრისტინე მეფარიშვილი**- სსიპ-აწარმოე საქართველოში ინვესტიციების დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);

**ნატო მებურიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

**თორნიკე თოხაძე** - ა(ა)იპ -საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი - საბჭოს წევრი;

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ქეთევან ციხისელი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

**ლანა გაჩეჩილაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

**ნინო სტეფანიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**დაწესებულების წარმომადგენლები:**

**ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი "კონსტრუქტ2":**

თამთა კვინიკაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი);

ნიკა კვიციანი - სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი,

ელისო ჯიქიძე - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი.

**სსიპ - კოლეჯი „იბერია“:**

ირაკლი ავალიანი - დირექტორი,

დარეჯან ლოსაბერიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი,

ნინო დარასელია - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი,

მაგდანა როხვაძე - პროგრამის განმახორციელებელი,

ბერიკა უშვერიძე - მატერიალური რესურსების კოორდინატორი.

**სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“:**

ნათელა აკოფაშვილი - დირექტორის მოადგილე,

მაია თედორაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი,

მავრა ტატალაშვილი - იურისტი,

მანანა ოკოშვილი - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი,

ცირა მესხიშვილი - პროგრამის განმახორციელებელი.

**პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:**

ირმა ღარიბაშვილი,

მამუკა გოგელია,

თეა ბარამაშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:06 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა, სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ, ასევე, შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ, რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო **სხდომის დღის წესრიგი:**

1. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-სთვის – „შენობა-ნაგებობისა და შენობა-ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიაზე საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლისა და მართვის სამუშაოები“ /01077/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

**წარმდგენი:** ირმა ღარიბაშვილი, ლანა გაჩეჩილაძე

2. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის“ - „რეგიონული ტურისტული მეგზურის“ /01075/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

**წარმდგენი:** მამუკა გოგელია, მაყვალა დარსანია

3. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის“ – „რეგიონული ტურისტული მეგზურის“ /01074/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

**წარმდგენი:** მამუკა გოგელია, მაყვალა დარსანია

4. სსიპ - კოლეჯ „იბერიას“ „გრაფიკული საქმის“/00930/ პროფესიული მომზადების პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

**წარმდგენი:** თეა ბარამაშვილი, ნინო სტეფანიშვილი

1. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-სთვის – „შენობა-ნაგებობისა და შენობა-ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიაზე საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლისა და მართვის სამუშაოები“ /01077/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა ან საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

დასკვნის პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა ირმა ღარიბაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ა(ა)იპ-სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2021 წლის 8 აპრილს წარმოდგენილ იქნა განაცხადი პროფესიული მომზადების პროგრამის „შენობა-ნაგებობისა და შენობა-ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიაზე საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლისა და მართვის სამუშაოები“ განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით. სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 26 აპრილის №403343 ბრძანების მიხედვით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობა წარიმართა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით 29 აპრილს. გასაუბრება ჩატარდა პლატფორმა „zoom“-ის მეშვეობით. დისტანციური შეხვედრა განხორციელდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის განმახორციელებლებთან, ბიბლიოთეკართან და პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელთან. შემოწმდა პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსი. ჯგუფი გაეცნო ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაციას, მექანიზმებს და კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტაციას. გადამოწმდა პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეები. ვიზიტი წარიმართა კომფორტულ და კონსტრუქციულ ვითარებაში დღის წესრიგის შესაბამისად.

პროგრამის დონედ დაწესებულების მიერ განსაზღვრული იყო მესამე დონე. პროგრამის მიზანში გაწერილია ბიზნესის დაგეგმვა/რეგისტრაციასა და ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა. ბიზნესის მართვის ძირითადი პრინციპების აღწერა/განმარტების საკითხების ცოდნა განისაზღვრება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონის ფარგლებში და აქედან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგების გათვალისწინებით პროგრამის დონედ განისაზღვრა - მეოთხე დონე. მსმენელთა ზღვრული რაოდენობა მოთხოვნილია დაწესებულების მიერ -30, მსმენელთა მიღებას გახორციელებენ ორ ნაკადად, პირველად მიიღებენ 15 მსმენელს და როდესაც მსმენელები წავლენ პრაქტიკის ობიექტზე (პროგრამის მეოცე კვირიდან), დაწესებულება მიიღებს მეორე ნაკადს, ანუ მეორე 15 მსმენელს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა 18 წელი და განათლება-საშუალო. სწავლება ხორციელდება ორ მისამართზე, კერძოდ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც გამოყოფილია A და C გარემო პროგრამის განსახორციელებლად და პარტნიორ კომპანიაში (სააქციო საზოგადოება „საქართველოს უძრავი ქონება“) მეოცე კვირიდან ოცდასამი კვირის ჩათვლით. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 23 კვირას, აქედან 19 კვირა ეს არის 475 საათი დაწესებულებაში და კომპანიაში - 80 საათი. ინტერვიუებისას კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს იქნება ანაზღაურებადი პრაქტიკა. ექსპერტმა წარმოადგინა სლაიდები A გარემოსი, რომელიც განკუთვნილია 15 მსმენელზე და აღჭურვილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, ასევე წარმოადგინა C გარემოს ფოტოსურათები და აღნიშნა, რომ შრომის უსაფრთხოების საკითხებს საკმაოდ კარგად სწავლობენ მსმენელები და დაწესებულებას აქვს თანამედროვე დანადგარებით, ინვენტარით აღჭურვილი შრომის უსაფრთხოების გარემო, სადაც გაივლიან მსმენელები უსაფრთხოების თემატიკას. პროგრამა უზრუნველყოფილია სასწავლო რესურსით, მათ შორის ელექტრონული რესურსით. გადამოწმებულ იქნა შერჩევის პრინციპით, და ნამდვილად დასტურდება პროგრამის სასწავლო რესურსით უზრუნველყოფა. პროგრამას ჰყავს 5 განმახორციელებელი პირი. გადმოგზავნილი იქნა მათი პირადი საქმეები, რითაც განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია და გამოცდილება დასტურდება. ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაციები:

**ქვესტანდარტი 1.3** რეკომენდირებულია პროფესიული მომზადების პროგრამის „შენობა-ნაგებობისა და შენობა-ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიაზე საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლისა და მართვის სამუშაოები“ მიზანში მოცემული ჩანაწერი - „შენობა-ნაგებობის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე“ შეიცვალოს პროგრამის დასახელების შესაბამისად, კერძოდ - შემდეგი ჩანაწერით - „შენობა-ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიაზე საკუთრებაში არსებული“.

**ქვესტანდარტი 1.6** სწავლის შედეგები მკაფიოდ და შინაარსობრივად გასაგებად არის ჩამოყალიბებული. რეკომენდირებულია, სტილისტურად, ტექნიკურად დაკორექტირდეს პროგრამით გათვალისწინებული მე-4 სწავლის შედეგი პროგრამის სახელწოდების შესაბამისად და ჩამოყალიბდეს - „იცის შენობა-ნაგებობის ტერიტორიაზე საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის დაზიანებებისა და დეფექტების აღმოფხვრის გზები“.

**ქვესტანდარტი 3.5** რეკომენდირებულია, კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტში მითითებულ იქნეს მონაცემთა ბაზებში ინფორმაციის ასახვის ვადების კონტროლზე პასუხისმგებელი პირი.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელმაც მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისათვის და აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია, რომელიც გაიცა მათ მიერ მისაღებია და გაასწორებენ, დააკონკრეტებენ უფრო. მათთვის ეს პროგრამა, როგორც სხვები გაკეთებულია სამშენებლო კომპანია m2-თან თანამშრომლობით, მათთან მოხდება სტუდენტების პრაქტიკის ორგანიზება, როგორც აქამდე კეთდებოდა, მათგან იქნება შეთავაზებული შესაბამისი პრაქტიკის ობიექტები, სადაც მსმენელებს გაუშვებენ საწარმოო პრაქტიკაზე.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ და სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ“-სთვის – „შენობა-ნაგებობისა და შენობა-ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიაზე საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლისა და მართვის სამუშაოები“ /01077/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 8**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ“-ს (ს/კ: 430035874) მიენიჭოს უფლება განხორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - შენობა-ნაგებობისა და შენობა-ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიაზე საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლისა და მართვის სამუშაოები /01077 (დანართი 1).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2021 წლის 28 მაისი.

## 2. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის“ - „რეგიონული ტურისტული მეგზურის“ /01075/პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა ან საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

დასკვნის პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა მამუკა გოგელიამ. მან თქვა, რომ დაწესებულებამ ცენტრში შემოიტანა განაცხადი ორ პროგრამაზე განხორციელების უფლების მინიჭების თაობაზე, ერთია პროფესიული მომზადების პროგრამა „რეგიონული ტურისტული მეგზური“ და მეორე გადამზადების „რეგიონული ტურის მეგზური“. ექსპერტმა პირველად ისაუბრა პროგრამაზე - „რეგიონული ტურისტული მეგზური“. პროგრამა არის მომზადების, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე- მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 10 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. N111.

რაც შეეხება პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას, პროგრამის განაცხადში აღწერილია პროგრამის საჭიროების დასაბუთება და აქტუალობა არსებულ შრომით ბაზარზე. სსიპ კოლეჯ „ოპიზარმა“ კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრის (CTC) და USAID - ის პროექტ „ზრდა საქართველოში“ დახმარებით შეიმუშავა მომზადების პროგრამა „რეგიონული ტურისტული მეგზური“. პროფესიული მომზადების პროგრამა ტურისტული ინდუსტრიით დაინტერესებულ პირებს დაეხმარება შეისწავლონ და განავითარონ გიდის საკვანძო პროფესიული უნარ-ჩვევები, რეგიონის თავისებურებების გათვალისწინებით ტურისტული პროდუქტის შექმნის საბაზო კომპეტენცია. ასევე მეორე პროგრამაც, გადამზადების პროგრამა შეიმუშავებულია მათი დახმარებით.

რაც შეეხება პროგრამის სახელწოდებას, შესაბამისობაშია ქვესტანდარტის მოთხოვნებთან. როგორც მასალების გაცნობით, ასევე ინტერვიუების შედეგებით, გამოიკვეთა, რომ პროგრამის დასახელება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და ასახავს მის მიზნობრიობას. პროფესიული მომზადების პროგრამაში მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროფესიული მომზადების პროგრამის „რეგიონული ტურისტული მეგზური“ მიზანია ინოვაციაზე ორიენტირებული ადგილობრივი ტურისტული მეგზურების მომზადება და ამ გზით რეგიონის ტურისტული პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა, ადგილობრივი მოსახლეობის ტურისტულ ინდუსტრიაში მიზნობრივი და კვალიფიციური ჩართულობის შესაძლებლობების ამაღლება.

მიზანი მკაფიოდ აღწერს რა ცოდნას შეიძენს და რა უნარებს გამოიმუშავებს ამ პროგრამის კურსდამთავრებული, რაც ასევე ნათლად არის ფორმულირებული სასწავლო პროცესით მისაღწევ შედეგებში. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუების შედეგად დადასტურდა მიზნის შესაბამისობა პროგრამით მისაღწევ სწავლის შედეგებთან.

პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: განათლება - საშუალო, უცხო ენა და გასაუბრება. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარების ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, პროგრამის განხორციელების ვადაში.

პროფესიული მომზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონეს. პროგრამა მსმენელს აძლევს საქმიანობის სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს. პროგნოზირებად, ნაწილობრივ ცვალებად გარემოში პროფესიასთან დაკავშირებული კონკრეტული დავალების შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღება და დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით შესრულება, ერთგვაროვანი პრობლემების გადაჭრა. ტურიზმის/მოგზაურობის ინდუსტრიისა და ტურისტული მეგზურის სამუშაოს აღწერა:

1. საერთაშორისო დარგობრივი სტანდარტების, ეთიკის ნორმებისა და ტურისტული პროდუქტის კონცეფციის აღწერა;
2. ექსკურსიის შექმნა;
3. საამბობი ტექსტის შემუშავება;
4. ობიექტის დემონსტრაცია;
5. ჯგუფის გაძღოლა;
6. უსაფრთხოების ნორმების დაცვა;
7. ობიექტების შესახებ პრეზენტაციის მომზადება.

პროგრამა გათვლილია 10 კვირიან სწავლებაზე, კვირეული დატვირთვა 9 საათი, სულ 90 საათი. შესაბამისად, პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. პროგრამაში გამოყენებულია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორცაა, ინტერაქციული ლექცია, დემონსტრირება, დისკუსია, პრაქტიკული სავარჯიშო, პრაქტიკული მეცადინეობა და გონებრივი იერიში. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის თეორიული ნაწილი ჩატარდება კოლეჯში, ხოლო პრაქტიკული ნაწილი პარტნიორ ორგანიზაციებში და პროგრამის ფარგლებში შერჩეული რეგიონის სხვადასხვა ტურისტულ ობიექტებში (ღია სივრცეებში). აღსანიშნავია, რომ პროფესიული მომზადების პროგრამაში „რეგიონული ტურისტული მეგზური“ პრაქტიკული კომპონენტი დაახლოებით 70-75 %-ია.

პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები საოჯახო სასტუმროებთან „თბილ სახლთან“, ა(ა)იპ „ახალციხის ციხესთან“ და ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციასთან. ხელშეკრულებებში გაწერილია, რომ ხელს შეუწყობენ სსიპ კოლეჯი „ოპიზარის“ პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელების (15 მსმენელის) დაშვებას პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად, სადაც მსმენელებს შეუძლიათ განახორციელონ პრაქტიკული სწავლება. ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები გაფორმებულია 3 წლის ვადით.

კოლეჯს დამტკიცებული აქვს „პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მსმენელის შერჩევის, ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სადაც მე-8 მუხლში გაწერილია პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მსმენელთა შეფასების წესი. მსმენელის შეფასების სისტემაში მითითებული მეთოდები შესაფასებელი სწავლის შედეგის ადეკვატურია, ობიექტურია და გამჭვირვალე.

რაც შეეხება პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსს, პროფესიული მომზადების პროგრამაში ჩართულია ორი განმახორციელებელი პირი, განაცხადს თან ახლავს განმახორციელებელი პირების რეზიუმეები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, რითაც დასტურდება მათი კვალიფიკაცია. ინტერვიუება შედგა პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, მათთან გაფორმებულია პირობითი ხელშეკრულებები.

დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისათვის აქვს A და B ტიპის გარემო, რომელიც გამოიყენება თეორიული სწავლებისათვის 15 მსმენელისათვის. პრაქტიკული ნაწილი

განხორციელდება პარტნიორ ორგანიზაციებში და პროგრამის ფარგლებში შერჩეული რეგიონის სხვადასხვა ტურისტულ ობიექტებში (ღია სივრცეებში). პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით. ექსპერტმა წარმოადგინა მატერიალური რესურსის დამადასტურებელი ფოტო მასალა, რომელიც კოლეჯს გადმოსცა USAID- მა და სრულად შეესაბამება პროგრამის საჭიროებას.

რაც შეეხება სასწავლო რესურსს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელთათვის და მორგებულია მათ საჭიროებაზე და ასახავს თემატიკით განსაზღვრულ საკითხებს. ჩამონათვალში მოცემულია სასწავლო ლიტერატურის დასახელება. სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით. სასწავლო ლიტერატურა განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, არის ელექტრონული რესურსები, ვიდეოფილმები და თვალსაჩინოებები.

შემდეგ ექსპერტმა ისაუბრა კოლეჯის უსაფრთხო სასწავლო გარემოზე. შენობის ტექნიკური მდგომარეობა ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, დამაკმაყოფილებელია. ასევე წარმოდგენილია შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ მიზნობრივი სახანძრო ტექნიკური შემოწმების შემდეგ შედგენილი მიწერილობა, სადაც გაწერილია ჩასატარებელი სამუშაოები და შესრულების ვადები. კოლეჯმა წარმოადგინა ვიზიტის დროისათვის უკვე შესრულებული სამუშაოების ანგარიში. კოლეჯში ასევე ფუნქციონირებს „შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“ და „სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი“. ასევე დამტკიცებულია „სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ სამედიცინო დახმარების მექანიზმები“, რომლის თანახმად მოწყობილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო დახმარების ოთახი, რომელსაც ხელმძღვანელობს კოლეჯის დირექტორის მიერ დანიშნული თანამშრომელი მედდა. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო სამუშაო გარემოში.

რაც შეეხება პროგრამის ადმინისტრირებას, დაწესებულება ხედავს თავის ადგილს დარგის განვითარებაში და ასაბუთებს პროგრამის განხორციელების საჭიროებას. შემუშავებული აქვთ „პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მსმენელთა შერჩევის, ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. დოკუმენტის მე-5 მუხლში განსაზღვრულია აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები. კოლეჯი ვალდებულია შერჩევის პროცედურის დაწყებამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე, აპლიკანტს მიაწოდოს ინფორმაცია შერჩევის პროცედურის შესახებ. კოლეჯი და საწარმოები აპლიკანტების შერჩევის მიზნით ერთობლივად ატარებენ კონკურს/გასაუბრებას, რომელიც გამჭვირვალეა და შეესაბამისობაშია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების მსმენელთა ჩარიცხვის წესთან და პირობებთან.

საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე და მისი შინაარსის სანდოობაზე პასუხისმგებელი პირია საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. ასევე ვებ-გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.

კოლეჯი საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისათვის იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს. შემუშავებული აქვთ დოკუმენტი „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც აგებულია დემინგის ციკლის მიხედვით დაგეგმე/განახორციელე/შეაფასე/განავითარე. ასევე გამოყოფილია პირი, რომელიც პასუხისმგებელია ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის შეყვანაზე, კერძოდ, ინფორმაციის შეყვანაზე პასუხისმგებელია რეესტრის სპეციალისტი. კოლეჯი ასევე სისტემატურად ახდენს ინფორმაციის მიწოდებას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური



დაცვის სამინისტრო; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და სხვ. შესაბამისად, აქვს ამ მხრივ გამოცდილება და ამ პროგრამის განხორციელების შემთხვევაშიც ანალოგიურად მოახდენს საჭიროების შემთხვევაში ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას. რაც შეეხება სერტიფიკატებს, კოლეჯს ჯერ არ გაუცია სერტიფიკატი, თუმცა შემუშავებული აქვს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების სერტიფიკატის და სერტიფიკატის დანართის ნიმუში, რომელიც შესაბამისობაშია „პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის და მისი დანართის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანებასთან. კოლეჯს ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს კოლეჯის კურსდამთავრებულებზე დიპლომის ან/და სერტიფიკატების გაცემას, ჟურნალის წარმოებასა და შენახვას.

ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა ერთი რეკომენდაცია: წინაპირობაში დაზუსტდეს უცხო ენის ცოდნის დონე.

თავმჯდომარე დაინტერესდა ექსპერტის აზრი რა იყო უცხო ენის დონესთან დაკავშირებით, რა დონე უნდა იყოს, რაზედაც ექსპერტმა უპასუხა, რომ მომზადების პროგრამაზე - მინიმუმ A1 ან A2 დონე. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას დონის განსაზღვრისათვის აქვს დადგენილი ჩამონათვალი, რომელსაც გამოიყენებს აპლიკანტებთან გასაუბრების დროს და შეაფასებენ ქულებით, შესაბამისად კომისია იღებს გადაწყვეტილებას და შემდეგ ეს ყველაფერი აისახება ოქმში.

მარიკა ზაქარეიშვილმა იკითხა თუ A1 ან A2 იქნება მოთხოვნილი წინაპირობად, ეს ძალიან დაბალი, მინიმალური დონეა და თვითონ მომზადების პროგრამის სწავლების დროს უცხო ენის ცოდნა თუ არ არის გათვალისწინებული, შესაბამისად გამოვა, რომ ადამიანი, რომელიც დაამთავრებს პროგრამას, შეიძინს იმ უნარებს, ზოგად ცოდნას რაც აქვს მიზანი ამ პროგრამას, მაგრამ უცხო ენა მისთვის იქნება A1 დონე და მაინც ვერ გააგებინებს ტურისტს რისი თქმაც უნდა და ამ შემთხვევაში ამგვარი წინაპირობის დადგენას აზრი არ აქვს. კოლეჯის წარმომადგენელმა, ცირა მესხიშვილმა უპასუხა, რომ თვითონ იყო ჩართული ამ პროგრამის შემუშავებაში, როგორც პროგრამის განმახორციელებელი და განმარტება გააკეთა, რომ მათ აქვთ ორი პროგრამა - მომზადების და გადამზადების. გადამზადების პროგრამაში მსმენელებად გათვალისწინებული არიან ფაქტიურად უკვე კვალიფიციური გიდები, რომლებიც სხვადასხვა ენაზე უკვე უწევენ მომსახურებას ტურისტებს და მათ უცხო ენა იციან. გასაუბრების დროს მათ უბრალოდ აინტერესებთ, რომელ ენაზე აქვთ მათ წვდომა, ამიტომ ამ პროგრამასთან დაკავშირებით პრობლემა არ არის.

მარიკა ზაქარეიშვილმა უპასუხა, რომ საკითხის დაზუსტება მას მომზადების პროგრამასთან მიმართებაში აინტერესებდა, რაზედაც ცირა მესხიშვილის პასუხი იყო, რომ მომზადებაზე მსმენელები არიან ადამიანები, რომლებსაც აქვთ, მაგალითად, საკუთარი სასტუმრო, ისინი ოფიციალურად ვინმე დამსაქმებლებთან არ იმუშავებენ, ან საკუთარი მანქანა ჰყავთ რომლითაც უნდა ატარონ ტურისტები და მათთვის, რამდენადაც საჭიროა, მინიმალურად რომ იცოდნენ, იციან, რადგან საშუალო სკოლის შემდეგ მოდიან ამ პროგრამაზე და უცხო ენის გარკვეული ცოდნა გააჩნიათ.

მარიკა ზაქარეიშვილის აზრით, მომზადების პროგრამაზე თუა საუბარი და სახელმწიფო სერტიფიკატი გაიცემა, კურსდამთავრებულა უნდა შეძლოს უცხოენოვან ტურისტს სათანადოდ, შესაბამისი ენაზე გადასაცეს ინფორმაცია. სწავლის შედეგებში თუკი მოიცავს ინფორმაციის გადადცემას/კომუნიკაციას, ექსპერტი ფიქრობს, რომ ენის ცოდნასთან დაკავშირებით, დაკონკრეტების გარეშე ნახევრად ფაბრიკატი პროდუქტი გამოვა. მან ითხოვა და საბჭოზე ექსპერტმა კიდევ ერთხელ გააჟღერა სწავლის შედეგები, სადაც ერთ-ერთი შედეგი იყო საამბობი ტექსტების შემუშავება. აღნიშნული გუსლიხმობს, როგორც ტურისტულ მარშრუტებთან დაკავშირებული ტექსტების შემუშავებას ასევე ტურის ჩატარებას რომელიმე უცხო ენაზე.

შემდეგი სწავლის შედეგი - ობიექტის დემონსტრაცია, ფაქტიურად რაც გადამზადების პროგრამაში მაღალი ხარისხის გიდებმა სხვადასხვა ჩაღრმავებული ინფორმაცია უნდა გადასცეს უცხო ენაზე, ამათაც იგივე უნდა გააკეთონ. მიუხედავად იმისა, რომ პატარა ტურისტული რაღაც ობიექტის მფლობელია. ობიექტების შესახებ პრეზენტაციის მომზადება, ეს თუ ქართულად უნდა მოამზადოს და ვილაცამ უნდა უთარგმნოს, ან თუ თარჯიმანი ჰყავს, რა თქმა უნდა პრობლემა არაა, მაგრამ თუ თვითონ უნდა გააკეთოს, მომზადების პროგრამაც რომ იყოს, წინაპირობაში ენის ცოდნის მაღალი დონე უნდა ჩაიდოს. მას პირადად გაუჭირდება დათანხმება A1 დონის გიდის მომზადების პროგრამაზე. მისი აზრით, წინაპირობად უნდა ჩაიდოს ენის ცოდნა მაღალ დონეზე.

იგივე აზრი გამოხატა საბჭოს წევრმა, ქრისტინე მეფარიშვილმა. მისი აზრით, თუნდაც იცოდეს მსმენელმა უცხო ენა, ერთია იცოდეს ენა და მეორეა ამ ყველაფრის ახსნა თუ შეუძლია. მისი აზრით, თუ კეთდება აქცენტი სხვა ენაზე, რომელზეც უნდა შეეძლოს კომუნიკაცია, მაშინ სწავლებაში აუცილებლად უნდა იყოს რაღაც ნაწილი ამ უცხო ენაზე და არა მარტო ქართულ ენაზე.

გიორგი გამყრელიძე დაეთანხმა საბჭოს წევრების აზრს და დაამატა, რომ მთავარი მიზანი რაც არის გიდის, არ აქვს მნიშვნელობა პატარა ბიზნესში იმუშავენ თუ საკუთარ ბიზნესში, მთავარი მიზანი უნდა იყოს მიღწეული. არის ერთი მიდგომა და შესაბამისად ის ადამიანი, როდესაც თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგება, მან შეძლოს მოვალეობის შესრულება სრულფასოვნად. A1 არის ისეთი დონე, რომ ვერანაირად ვერ შეძლებს უცხო ენაზე საუბარს, მას შეეძლება მხოლოდ ქართულად საუბარი.

დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ რეკომენდაცია იყო და წინაპირობაში არ ჩაიწერება A1 დონე, ჩაიწერება უფრო მაღალი დონე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რაზე თანხმდებიან, რა დონეს უთითებენ დაშვების წინაპირობაში. გიორგი გამყრელიძემ აღნიშნა, რომ ერთია დონის აღნიშვნა და მეორეა პრაქტიკაში გატარება. შესაძლებელია ჩაიწეროს B1, მაგრამ როგორ მოხდება B1 -ით ადამიანების შერჩევა ესაა საკითხი, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არის უცხო ენის დონის დადგენის პროცედურის ჩატარების გამოცდილება.

ცენტრის წარმომადგენელს, ლანა გაჩეჩილაძეს ჰქონდა დამაზუსტებელი კითხვა - ერთია იცის პირმა გარკვეულ დონეზე უცხო ენა, მაგრამ არ ჩანს არსად სწავლის შედეგებში რომ კომუნიკაცია ხდება უცხო ენაზე, მაგალითად ინგლისურ ენაზე. ანუ აქვს ცოდნა, რაღაც დონეზე, მაგრამ მერე გაუმჯობესება თუ ხდება უცხო ენის არ იკვეთება პროგრამიდან. ამ მხრივ არ ჩანს არსად. შეიძლება არ ჩანს პროგრამიდან, მაგრამ რეალურად თუ აპირებს ორგანიზაცია სასწავლო პროცესში მსმენელებს ტურისტებთან უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარი განუვითაროს.

ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საქართველოს ტურიზმის სააგენტოს ადმინისტრაციამ უკვე დაიწყო გიდების სერტიფიცირების პროცესი, მათ მომართეს ხარისხის ცენტრს, გაფორმდა მემორანდუმი ხარისხის ცენტრსა და სააგენტოს შორის, რომლის საფუძველზეც შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც სწორედ სერტიფიცირებული გიდების პროგრამის მინიმალურ მოთხოვნებს შეიმუშავებს. მართალია ეს იქნება ნებაყოფლობითი სერტიფიცირება, მაგრამ რაღაცა ნაბიჯი გადაიდგმება და სამომავლოდ, ალბათ ორ თვეში სავარაუდოდ, შეიქმნება ის მინიმალური მოთხოვნები, რაღაც ჩარჩო, რომელსაც დაეფუძნება მერე პროგრამები, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა ორგანიზაციები, ასოციაციები, სხვადასხვა კომპანიები შეიმუშავენ გიდების მომზადების და გადამზადების პროგრამებს და ამის

საფუძველზე გაივილიან გიდები სერტიფიცირებას. ეს არის აქტუალური თემა, დიდი ხანია ამ თემაზე არის საუბარი და რაღაც ნაბიჯები უკვე გადაიდგა. რაც შეეხება აგანსახილველ საკითხს, ამ შინაარსის პროგრამებს უახლოეს პერიოდში ამ პროგრამებს განვიხილავთ რამოდენიმე დაწესებულებისთვის. რაკი USAID-ის დახმარებით და ტრეინინგების ცენტრის CTC - ის მიერ არის ეს პროგრამა მომზადებული, იქნება შთაბეჭდილება, რომ დაწესებულებამ ფაქტობრივად გამზადებული მიიღო ეს პროგრამა და თვითონ აღარ ჩაუხედავთ. სამწუხაროა, იმიტომ რომ მოთხოვნებზე უნდა ყოფილიყო ეს პროგრამები მორგებული და გარკვეული კოორდინაციით მაინც უნდა შექმნილიყო პროგრამა.

მოცემულობა რაც არის, ეს არის და რა არის რეალურად სწორი და როგორ ჯობია თვითონ დაწესებულებამ და ექსპერტმა უნდა თქვან ამის თაობაზე, თქვა საბჭოს თავმჯდომარემ. მოვუსმინოთ დაწესებულებას და ექსპერტს და მათი პოზიცია უნდა იყოს საბჭოსთვის გადაწყვეტი, დაამატა ნაწი დალაქიშვილმა. როდესაც ასეთი დონორი ორგანიზაცია ეხმარება დაწესებულებას, უმზადებს პროგრამას, ხანდახან ეს პროგრამა წარმატებული ვერ არის, სტანდარტებს მთლად ვერ ერგება. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ პროგრამა ადგილობრივ ჩარჩოს უნდა მოერგოს, სისტემას და დადგენილ მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს. კოლეჯის ზრდასრულთა განათლების კოორდინატორმა უცხო ენასთან დაკავშირებით თქვა, რომ პროგრამის შემუშავების დროს ისინი დათანხმდნენ პროგრამაში ყოფილიყო ერთი უცხო ენის ცოდნა სასაუბრო დონეზე და შერჩევის პროცესში სპეციალისტების დახმარებით მოახდენდნენ აპლიკანტების სწორად შეფასებას, ამას ეყრდნობოდნენ.

საბჭოს თავმჯდომარის შეკითხვა დაწესებულებასთან იყო, რა დონე უნდა ჩაწეროთ წინაპირობაში, რაზედაც პასუხი იყო, რომ იმსჯელეს ამ საკითხზე და B1 - ს ფიქრობენ.

გიორგი გამყრელიძემ თქვა, რომ B1 არის საკმაოდ მაღალი დონე და პარადად მისთვის მისაღებია. B2 უფრო ბაკალავრადამთავრებულებს შეეფერება, უფრო მაღალი დონეა.

ქრისტინე მეფარიშვილის აზრით, კარგია ეს დონე, მაგრამ თუ ამ ენაზე არ ხდება სწავლის პროცესში რაიმე პრაქტიკული ვარჯიში ან თუ უცხო ენაზე არ არის სწავლება ზოგადად, ნაწილი მაინც, რა აზრი აქვს ამ დაშვების წინაპირობას. თუ არის გიდი, მას უნდა შეეძლოს უცხო ენაზე რაღაცის ახსნა და სწავლებისას უნდა იყოს უცხო ენაზე სწავლებაც. თუ ეს ვერ ხერხდება, მისთვის მაშინ პროგრამის სახელწოდება უნდა შეიცვალოს, მაგალითად „ ქართულენოვანი რეგიონულ ტურისტულ მეგზური”.

მარიკა ზაქარეიშვილმა გააგრძელა და დააზუსტა ქრისტინე მეფარიშვილის მოსაზრება, რომ კოლეჯი პასუხისმგებელია, რომ გიდი, რომელსაც გამოუშვებს და ექნება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და სწორად ილაპარაკებს, სწორად იმეტყველებს და ინფორმაციას სათანადოდ გადასცემს. მოკლევადიანი პროგრამა არის შრომის ბაზრის მოთხოვნაზე მიბმული, აქედან გამომდინარე, შრომის ბაზარს თუ სჭირდება გიდი, რომელმაც რეგიონი იცის და ამის შესახებ ინგლისურად შეუძლია ტურისტებს დაელაპარაკოს და ეს პროგრამა თუ ამაზეა მოწოდებული, რომ გარდა იმისა, რომ დაწესებულება აირჩევს უცხო ენაზე კარგად მოლაპარაკე ადამიანს, B1 დონის, კარგი იქნება რომ დამატებითი რესურსი გამოიყენონ რათა ინგლისურის რამდენიმე საათიც იყოს, თუნდაც სავარჯიშოებში ინტეგრირებული, მოკლევადიანი პროგრამა იძლევა ამის საშუალებას, მოქნილია ვიდრე სადიპლომო. კარგი იქნებოდა ჩაესვათ ინგლისურის მასწავლებელი და ერთობლივად დარგის მასწავლებელს და ინგლისურის მასწავლებელს ჰქონდეს ისეთი სავარჯიშოები, რომ ალაპარაკონ, გაავარჯიშონ უცხო ენაზე კომინიკაციის უნარები დარგობრივ ჭრილში. მან შეიძლება ინგლისური იცის, მაგრამ

ტურისტული ტერმინოლოგია შეიძლება აქტიურად არ ულაპარაკია, მოუხდება ამ პროგრამას და ძალიან კარგ შედეგს მიიღებენ საბოლოოდ ან წინააღმდეგ შემთხვევაში ცალსახად უნდა გამოიკვეთოს, რომ გიდი, ვისაც მოამზადებს ეს პროგრამა, არის ქართულენოვან ტურისტთან მომუშავე.

გიორგი გამყრელიძის აზრით, სანამ რეგულირებადი საქმიანობა არ იქნება და სანამდე თითოეულ ლოტზე არ ჩააბარებს როგორც ლოტის, ასევე უცხო ენის გამოცდას, მაგას ვერ გააკონტროლებენ, რაზედაც მარიკა ზაქარეიშვილმა უპასუხა, რომ პროფესია რეგულირებადი და მოწესრიგებული უნდა იყოს, ამაში ეთანხმება, მაგრამ ახლა ამას ვერ გადაწყვეტენ, მაგრამ პროგრამა რომ ხარისხიანი გამოვიდეს, ზემოხსენებული გზებია გასათვალისწინებელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტება გააკეთა, მან თქვა, რომ მეორე უკიდურესობა იკვეთება, რადგან ისინი აქცენტს არ აკეთებენ მხოლოდ ინგლისურ ენაზე, როცა გაულ წელს საპილოტე რეჟიმში გასაუბრება ჩაატარეს, გამოცდილებაზე დაყრდნობით, უფრო რუსულენოვანია მათ მხარეში პოპულარული, რადგან უფრო მეტი ტურისტი რუსეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან შემოდის და ამიტომაც აპლიკანტი ამბობს გასაუბრებაზე, რომ მან კარგად იცის რუსული ენა, გერმანული ან ინგლისური. სამიზნე აუდიტორიიდან გამომდინარე, მათ არ შეუძლიათ დააწესონ მაინცდამაინც ინგლისური ენის ცოდნა.

მართალი ბრძანდებით, ენის ცოდნა უნდა იყოს მითითებული, თქვა მარიკა ზაქარეიშვილმა. ენას გულისხმობს, რა ენაზეც უნდა ატაროს ამ ადამიანმა ტური. თუ თქვენს რეგიონში რუსულ ენაზე მოსაუბრე ტურისტები მეტია, მაშინ რა თქმა უნდა რუსული ენის ცოდნაა საჭირო.

ნატო მეზურიშვილმა გამოხატა თავისი მოსაზრება. აღნიშნა, რომ იგი თავად წარმომადგენს საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციას და ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა საბჭოს მისი პროექტის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია გიდების ნებაყოფლობით სერტიფიცირების საკითხზე. გიდი, რომელიც არის უკვე დასაქმებული და თავისთავს თვლის რომ არის გიდი, უბრალოდ ნებაყოფლობით, შეუძლია სახელმწიფომ მას გადასცეს სერტიფიკატი და იყოს სერტიფიცირებული გიდი, რაც შემდგომ საქმიანობისთვის პრივილეგიებს მოუტანს. მაგალითად, მათთან ბაზაში დარეგისტრირება, რეკომენდაციები და ა.შ. რაც შეეხება ამ განსახილველ პროგრამას, თუ ადამიანი უკვე არის გიდი და მუშაობს ამ პროფესიით, არანაირი სერტიფიკატი არ აქვს და უნდა 10 კვირიანი გადამზადება, გასაგებია, რაც შეეხება მომზადებას, ამ შემთხვევაში, აუცილებლად უნდა ჩაიდოს ენის დადასტურება, რომ იცის, შეიძლება რაღაც საბუთიც კი წარმოადგინოს, რომ რუსული ან ინგლისური ენის მცოდნეა, მაგრამ სასწავლო პროცესში, რომ ამ ადამიანს ჰქონდეს ცოდნის განმტკიცება და შესაბამისი ინგლისურენოვანი/რუსულენოვანი მასწავლებელი არსებობდეს, ამ პოზიციას აბსოლუტურად ეთანხმება.

გიორგი გამყრელიძის აზრით, 10 კვირაში ვერცერთ ენას ვერ შეასწავლი. რაზედაც ნატო მეზურიშვილის მოსაზრება იყო, რომ ეს დრო საკმარისია ცოდნის განახლებისთვის და განმტკიცებისთვის, შესახსენებლად ან და მაშინ ქართულენოვანი გიდი უნდა ერქვას პროგრამას. მარიკა ზაქარეიშვილმა დაამატა, რომ აქ ენის შესწავლაზე არ არის საუბარი, მსმენელებმა იციან ან ინგლისური, ან რუსული. აქ საუბარია იმაზე, რომ გაავარჯიშონ უნარი. მაგრამ ახლა მთავარია კოლეჯი როგორ მოახერხებს და დაგეგმავს ამ საკითხს. შესაძლოა ინტეგრირება მოახდინონ და მისცენ სავარჯიშოები, შეიძლება რუსული ენა იყოს, გერმანული ან ინგლისური.

საბჭოს თავმჯდომარემ შესთავაზა საბჭოს წევრებს, განეხილათ დღის წესრიგით გათვალისწინებული მომდევნო საკითხიც გადამზადების პროგრამის თაობაზე და შემდეგ

ემსჯელათ გადაწყვეტილების თაობაზე. საბჭო დაინახავს პროგრამების განსხვავებასაც და საერთო მიდგომებსაც, რამაც საბჭოსთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესი შეიძლება გააიოლოს. საბჭოს შემადგენლობა დაეთანხმა თავმჯდომარის ინიციატივას.

### **3. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის“ – „რეგიონული ტურის მეგზურის“ /01074/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა ან საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

ექსპერტმა წარმოადგინა გადამზადების პროგრამის პრეზენტაცია. ეს არის რეგიონული ტურის მეგზური, კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 7 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა -15, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ.ახალციხე, რუსთაველის ქ. N 111.

რაც შეეხება თვითონ პროგრამის შემუშავებას, როგორც გასაუბრებისას კოლეჯის თანამშრომლებმა აღნიშნა, USAID - თან ერთად განახორციელეს გადამზადების პროგრამა, სადაც აპლიკანტთა დარეგისტრირებულმა რაოდენობამ აჩვენა, რომ მოთხოვნა იყო ძალიან მაღალი. აპლიკანტთა უმეტესი ნაწილი ვერ ჩაერთო ამ პროგრამაში და ამიტომ კოლეჯმა გადაწყვიტა შეემუშავებინა USAID - თან ერთად მსგავსი ტიპის მომზადება/გადამზადების პროგრამები.

რაც შეეხება სახელწოდებას, შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და ასახავს მის მიზნობრიობას. რაც შეეხება თვითონ სწავლის შედეგებთან მიმართებაში, გადამზადების პროგრამაში მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებთან.

წარმოდგენილ გადამზადების პროგრამაში დაშვების წინაპირობებია: ტურისტულ ინდუსტრიაში საქმიანობის გამოცდილება -1 წელი, განათლება- საშუალო, უცხო ენის ცოდნა და გასაუბრება.

საბჭოს თავმჯდომარემ შენიშნა, რომ დაშვების წინაპირობიდან უკვე ჩანს პროგრამებს შორის სხვაობა.

წარმოდგენილია 7 სწავლის შედეგი:

1. ტურიზმის/მოგზაურობის ინდუსტრიის გლობალური და ეროვნული მნიშვნელობის განხილვა;

გიდის პროფესიის, გიდის სამუშაო ფორმების აღწერა, საერთაშორისო დარგობრივი სტანდარტების და ეთიკის ნორმების გაცნობიერება;

2. ტურისტული რესურსების მახასიათებლების იდენტიფიცირება; ტურისტული პროდუქტის, როგორც ტურისტული პაკეტის ელემენტების ჯგუფის განსაზღვრა, მიზნობრივი განვითარებისათვის პროდუქტის გამოყენება, მომხმარებელთა საჭიროებების გაანალიზება;

3. ახალი ექსკურსიის შექმნისთვის მეთოდების, ხერხების, სხვადასხვა სახის ინფორმაციის შეგროვება და გამოყენება, ექსკურსიის კომპოზიციის შემუშავება და ექსკურსიის ტექნოლოგიური რუკის შექმნა;

4. ობიექტთა ნაკრების განსაზღვრა და მათზე საინფორმაციო ბარათების მომზადება, ობიექტის დემონსტრაციისა და გადაადგილების დროის განსაზღვრა; მარშრუტის აწყობის ხერხები, ტურების კატეგორიებად დაყოფა;

5. ტურების წარდგენა, ობიექტის დემონსტრაცია, კომუნიკაციისას როგორც ვერბალური ისე არავერბალური ე.წ. ქესტური მხარეს გამოყენება; კომუნიკაციისას 5C-სა და KISS პრინციპების გამოყენება;

6. ჯგუფის გაძღოლა/ორგანიზაცია, თვითორგანიზება, პრობლემების გადაჭრისა და საჩივრების მართვის ტექნიკის გამოყენება; ტურისტების უსაფრთხოებაზე ზრუნვა, გიდის ვალდებულებების დაცვა;

7. რეგიონის სპეციფიკაზე მორგებული ახალი ექსკურსიების შექმნა და პრეზენტაცია.

სწავლის უმეტესი ნაწილი ეთმობა პრაქტიკულ კომპონენტს, თეორიული კომპონენტის შესწავლა მიმდინარეობს კოლეჯში, ხოლო პრაქტიკული ნაწილის - პრაქტიკის ობიექტებზე, ღია სივრცეებში.

პროგრამის ხანგრძლივობაა - 7 კვირა, 6 საათიანი კვირეული დატვირთვა, ხოლო მეშვიდე კვირა- 9 საათიანი დატვირთვა. პროგრამის ხანგრძლივობა შესაბამისობაშია, უბრალოდ არის მცირე ტექნიკური შეცდომა, პირველ კვირაში უწერიათ - 9 საათი, მის ნაცვლად უნდა მიეთითოს 6 საათი, ხოლო მეშვიდე კვირაში, 6 საათის ნაცვლად უნდა იყოს - 9 საათი. უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლების ფორმას.

რაც შეეხება მეორე, მესამე სტანდარტს, ფაქტიურად იგივეა, რაც წინა საკითხის განხილვის დროს გაჟღერდა. ყურადღება გაამახვილა, რეკომენდაციებზე:

1.4 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში

ა) დაზუსტდეს წინაპირობა და მიეთითოს კონკრეტულად გიდის მიმართულებით სამუშაო გამოცდილება;

ბ) წინაპირობაში დაზუსტდეს უცხო ენის ცოდნის დონე;

გ) აპლიკანტთა წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალს დაემატოს სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

1.6 პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

სასურველია სწავლის შედეგები ფორმულირებული იყოს უფრო ლაკონურად, ხოლო თემატიკაში ჩაიშალოს შედეგებში მოცემული საკითხები;

1.7 პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია

ა) გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და შესამაბისობაში მოვიდეს პროგრამის აღწერაში და პროგრამის შინაარსში გაწერილი კვირეული საათობრივი დატვირთვები, კერძოდ პირველ კვირაში 9 საათის ნაცვლად მიეთითოს 6 საათი, ხოლო მეშვიდე კვირაში 6 საათის ნაცვლად 9 საათი;

ამ პროგრამასთან დაკავშირებით რა შენიშვნები აქვს საბჭოს წევრებს, იკითხა საბჭოს თავმჯდომარემ.

გიორგი გამყრელიძემ თქვა, რომ გადამზადება ნიშნავს, რომ რაღაც ახალი უნდა შეიძინო. აქ ისეთი რაღაცეები იყო ჩამოთვლილი რომ ასწავლო, ეს თუ არ იცის, ეს გადამზადების კი არა

მომზადების პროგრამაა. შეფეგების ჩამონათვალის მიხედვით, ეს არის მომზადების პროგრამა, რეალურად, გადამზადებას კი არ ვახდენთ, ანი ბანის ვასწავლით.

დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, შეიძლება დეფინიციის შეცვლა, მაგრამ ყველაზე კარგი მომენტი არის ის, რომ მსგავსი ტურისტული გიდების გადამზადება თუ მომზადება, არ აქვს მნიშვნელობა, აქამდე არ ყოფილა. მაგალითად, ახალი ტურისტული მარშრუტის შემუშავება, რომელსაც აკეთებს დამოუკიდებლად გიდი, არის ძალიან ღირებული. მას არ უნახავს გიდმა დამოუკიდებლად შეძლოს ახალი მარშრუტი, ჩათვალეთ რომ სამეცნიერო ნაშრომის დონეზეა. პირს უვითარდება ეს უნარებიც, რომ დამოუკიდებლად შეძლოს ამაზე მუშაობა. ეს არის ღირებული ამ პროგრამის, რაზედაც საბჭოს თავმჯდომარის პასუხი იყო, რომ უდავოდ ღირებული პროგრამებია შემოტანილი, უბრალოდ, საჭიროა, რომ სწორი ფორმულირება გაკეთდეს. რაღაც ისეთი შთაბეჭდილება რჩება მას, რომ წარმოდგენილია სხვის მიერ მომზადებული პროგრამები, რომელზეც საბჭოს წევრების კითხვებს სხვა ადამიანები სცემენ პასუხს. იქნებ ჩავრთოთ ყველა პირი, რომლებიც სათანადოდ ბოლომდე უპასუხებენ დასმულ შეკითხვებს, თორემ წინააღმდეგი არცერთი არ არის, რომ ამ პროგრამებზე გაცივს განხორციელების უფლება.

სავსებით გეთანხმებით, დაამატა ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა. კოლეჯის წარმომადგენლები სხდომას ესწრებიან, დირექტორის მოადგილეც. შენიშნა, რომ საბჭოს სხდომას დაემთხვა საერთაშორისო გამოფენა, სადაც მიწვეულია კოლეჯის დირექტორი. გამოთქვა სურვილი, საკითხების განხილვას ასევე დასწრებოდა USAID- დან და CTC- დან წარმომადგენლებიც, ვინც უშუალოდ მიიღო მონაწილეობა ამ პროგრამის მომზადებაში. საბჭოს თავმჯდომარემ შესთავაზა საბჭოს, დამატებითი განმარტებების მისაღებად, საბჭოს სხდომას საკითხის განხილვისას რომ ესწრებოდეს შესაბამისი პასუხისმგებელი პირები, საკითხის განხილვა გადადებულიყო გადაწყვეტილების მიღების გარეშე.

გიორგი გამყრელიძემ დაამატა, რომ გადამზადების პროგრამა რომ წარმოადგინონ იგივე სახით, შეექმნებათ პრობლემა, იმიტომ რომ საკითხები, რომელიც გადამზადების პროგრამაშია გათვალისწინებული არ არის გადამზადება, ეს არის მომზადება, საბაზისო საკითხების შესწავლა.

მარიკა ზაქარეიშვილის აზრი იყო, რომ დატოვებდა ერთ პროგრამას, რომელსაც მომზადების პროგრამას დაარქმევდა, წინაპირობად დატოვებდა იმას, რაც გადამზადების პროგრამას აქვს, გარკვეული გამოცდილება, ენის ცოდნას ჩაუდებდა, სწავლების პროცესში კონფიგურაციებს მოიფიქრებდა და თუ ორივე ენაზე უნდა იყოს მოთხოვნა, მაშინ ორივე ენა უნდა იყოს მოთხოვნილი, ან თუ ვიღაცამ რუსულენოვან ტურისტებთან უნდა იმუშაოს, ეს შეიძლება იყოს გაყოფილი შიგნით. ბევრად უფრო მარტივი და ეფექტური იქნება ეს ყველაფერი. ასევე შესაძლებელია ორ პროგრამა შემუშავდეს, ერთი რუსულენოვანი და მეორე ინგლისურენოვანი ტურისტებისთვის. ეს უფრო აზრიანი და ლოგიკური იქნებოდა. ბაზარს სჭირდება რუსულ ენაზე და ინგლისურ ენაზე მომუშავე გიდი. მსმენელმა უნდა იცოდეს B1 დონეზე და ჩართული იქნება ამ ენაზე პრაქტიკული სავარჯიშოები.

საკითხები, რაზეც ვიმსჯელებთ, მოსაწესრიგებელია თქვა საბჭოს თავმჯდომარემ.

ქრისტინე მეფარიშვილმაც აღნიშნა, რომ მომზადების პროგრამებისკენ გადაიხრებოდა. უფრო წაიყვანდა და დახვეწავდა მომზადების პროგრამებს, გადავდოთ და როგორ წარმოადგენს დაწესებულება, მათი გადასაწყვეტია.

გადადების შემთხვევაში ვერ შეცვლიან პროგრამებს, აღნიშნა ნანი დალაქიშვილმა. დაწესებულებას სთხოვა უზრუნველყონ იმ პირების მოწვევა საბჭოს შემდეგ სხდომაზე, ვინც

შეიმუშავა ეს პროგრამები. მოისმინოს საბჭომ მათი არგუმენტაცია და მიიღოს გადაწყვეტილება. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შესაბამისი არგუმენტაციის მოსმენის შემდეგ საბჭოს შეეძლება გადაწყვეტილების მიღება ან ვადის მიცემა ხარვეზის გამოსასწორებლად.

საბჭოს შემადგენლობა დაეთანხმა თავმჯდომარის მოსაზრებას დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე და მესამე საკითხების შემდეგ სხდომაზე განხილვის გადადების თაობაზე.

თორნიკე ჯობავამ სხდომა დატოვა 12:29 საათზე.

#### **4. სსიპ - კოლეჯ „იბერიას“ „გრაფიკული საქმის“/00930/ პროფესიული მომზადების პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა ან საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

ცენტრის წარმომადგენელმა, ნინო სტეფანიშვილმა გააკეთა პრეზენტაცია. მან ზოგადი ინფორმაცია მიაწოდა საბჭოს თუ რატომ დაინიშნა მონიტორინგი სსიპ - კოლეჯ „იბერიაში“ პროფესიული მომზადების პროგრამის „გრაფიკული საქმე“. მონიტორინგის საფუძველი იყო ის, რომ სსიპ - კოლეჯმა „იბერიაში“ შეიცვალა პროფესიული მომზადების პროგრამის „გრაფიკული საქმის“ განხორციელების ადგილი. კერძოდ, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 24 დეკემბრის N1227148 გადაწყვეტილების საფუძველზე „გრაფიკული საქმე“ განხორციელების ადგილად განსაზღვრულია ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. N12. დაწესებულებას სურს ზემოაღნიშნული პროგრამა განხორციელდეს ქ. ქუთაისში ზ.ანჯაფარიძის ქ. N61-ში მდებარე ფართში, რომელიც გახლდათ დაწესებულების იურიდიული მისამართი და რომელ შენობასაც ჩაუტარდა რეაბილიტაცია. სსიპ - კოლეჯმა „იბერიაში“ ზემოაღნიშნული ვითარება აცნობა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და ცენტრმა გადაწყვიტა ამ პროგრამის მონიტორინგი მხოლოდ მატერიალური რესურსის კუთხით, მეორე სტანდარტის კუთხით. დარგის ექსპერტი თუა ბარამაშვილი, რომელიც ჩართული იყო მონიტორინგში, თავის დროზე, პროგრამის უფლების მოპოვების დროს იყო ჩართული როგორც დარგის ექსპერტი და მან კარგად იცის სპეციფიკა ამ პროგრამის. მათ შეისწავლეს დოკუმენტაცია რაც გამოგზავნა დაწესებულებამ, დამატებითაც იყო გამოთხოვილი დოკუმენტაცია და 23 აპრილს შედგა დისტანციური შეხვედრა ZOOM აპლიკაციის საშუალებით. გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს და მოხდა მატერიალური რესურსის დათვალიერება. ასევე აღნიშნა, რომ მეორე სტანდარტი ოთხივე ქვესტანდარტით შეფასდა დადებითად, ასე ვთქვათ, არ არის ქვესტანდარტები დარღვეული.

2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით. დაწესებულებამ მონიტორინგის მიზნებისთვის ცენტრში წარმოადგინა პროგრამის განმახორციელებელი ორი პირის პირადი საქმე, რომლის შესწავლის და დისტანციურ ჩართვაზე მათთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ აქვთ სსიპ კოლეჯ „იბერიაში“



„კომპიუტერული გრაფიკოსის“ საგნობრივი პროგრამის განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება, მსმენელთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. მათი ცოდნა და უნარები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

2.2. პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. ქ.ქუთაისი, ზ.ანჯაფარაძის N61-ში ზემოაღნიშნული პროგრამისათვის გამოყოფილია B გარემო, რომელშიც განთავსებულია კომპიუტერები, პროექტორი, დაფა, პრინტერები და C გარემო - ფაბლაბის ლაბორატორია, აღჭურვილი იმ დაზღვა-დანადგარებით, რომელიც საკმარისია სწავლის შედეგების მისაღწევად და საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული 10 მსმენელისთვის. პროფესიული მომზადების პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსი, ინვენტარი და აღჭურვილობა შესყიდულია კოლეჯის მიერ, რაც დასტურდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების დოკუმენტებით.

2.3 სასწავლო რესურსიც დადებითად შეფასდა. სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე. პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელებისათვის დამუშავებულია საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც ფარავს ყველა სწავლის შედეგს. სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია მსმენელებისათვის, როგორც კოლეჯის ბიბლიოთეკაში, ასევე ჩაწერილია B გარემოში განთავსებულ კომპიუტერებში.

2.4. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.

დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა საგანგებო სიტუაციის მართვის სამსახურის წერილი, სადაც ასახულია რომ სსიპ კოლეჯ „იბერიას“ ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებს ახალ მისამართზე. ასევე ცენტრში წარმოადგინა ლევან სამხარაულის დასკვნა, რომელიც იყო დადებითი და დაკმაყოფილებულია შენობის ტექნიკური მდგრადობა. ეს ორი დოკუმენტი არის სტანდარტის აუცილებელი მოთხოვნა და ორივე იყო დადებითი. ასევე დაწესებულებას შემუშავებული აქვს და გადმოგზავნა საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმები, უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. კომპლექსურად შესწავლის შემდგომ, ეს ქვესტანდარტიც შეფასდა დადებითად.

ნინო სტეფანიშვილმა საბჭოს წარუდგინა პროგრამის შესაბამისი აუდიტორიის და შენობის ფოტო-მასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და სსიპ - კოლეჯ „იბერიისთვის“ „გრაფიკული საქმის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 24 დეკემბრის №1227148 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 7**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „იბერიაში“ (ს/კ: 212682051) „გრაფიკული საქმის“ პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

2. ცვლილება განხორციელდეს სსიპ - კოლეჯ „იბერიისთვის“ „გრაფიკული საქმის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიწიჭების შესახებ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 24 დეკემბრის №1227148 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 2).

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დასრულების შემდეგ, 13:20 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ზაქარეიშვილი მარიკა



დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01077	შენობა-ნაგებობისა და შენობა-ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიაზე საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლისა და მართვის სამუშაოები	პროფესიული მომზადება	მეოთხე	23	ქართული	30	ქ. ზესტაფონი, ნ. ნიკოლაძის ქ. №28

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00930	გრაფიკული საქმე	პროფესიული მომზადება	მეოთხე	13	ქართული	10	ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. №61